ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაცია
Forestry Agency of KhelvaChauri

6010 ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N51

N51, Pridon Khalvashi Ave, Georgia 6010

N 11/97
12.06.2023

97-11-2-202306121718

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსს ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

თქვენი 2023 წლის 25 მაისის №09/882 პასუხად, რომელიც ეხება მოქალაქე ბესიკ აბდულიშის (პნ 6100606837) 07.04.2023 წლის №545/09 განცხადებას, ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის, თხილნარის სატყეოს კვარტალ №7-ის ლიტერ № 4-ში სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე (ს.კ. 22.30.02.436) 1 (ერთი) ერთეულ 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკურორტო, რეკრეაციული და სპორტულ გამაჯანსაღებელი მიზნით სპეციალური სარგებლობის უფლების 10 (ათი) წლის ვადით მინიჭების მოთხოვნას (ამორტიზებული ბილიკის შეკეთება).

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი GPS კორდინატების ფარგლებში შევისწავლეთ მოქალაქე ბესიკ აბდულიშის მიერ იჯარით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი,რომელიც მდებარეობს ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის თხილნარის სატყეოს №1 სამცველოს კვარალ №7-ის ლიტერ № 4-ში. წარმოგიდგენთ საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობის გაცემისათვის საჭირო ინფორმაციას, კერძოდ:

ა) რეკრეაციული ტყითსარგებლობის ფარგლებში განზრახული საქმიანობის აღწერა; -ნაკვეთზე გეგმავს; საკურორტო, რეკრეაციული სპორტულ და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი (ამორტიზებული ბილიკის შეკეთება) მიზნით სარგებლობას.

ბ) ტყის ფართობისა და მისი საზღვრების შესახებ ინფორმაცია (საკადასტრო აზომვითი ნახაზი); - საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

გ) ტყის ფართობის მდებარეობის (სატყეო, კვარტალი, ლიტერი, სიმაღლე ზღვის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვა) შესახებ ინფორმაცია; - ნაკვეთი მდებარეობს თხილნარის სატყეოს კვარტალი №7-ის, ლიტერი №4-ში, სიმაღლე ზღვის დონიდან 100 მ, დაქანება 35 გრადუსი, ექსპოზიცია დ.

დ) ტყის ფართობზე არსებული და მოსაწყობი გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია. - ფართობზე არის მისასვლელი ასფალტირებული საავტომობილო გზა.

ე) შერჩეული ტყის ფართობის და მიმდებარე ტერიტორიების ზოგადი დახასიათება; - აღნიშნული ფართობი არ არის ტყით დაფარული, ტყის მართვის გეგმით კვარტალი №7-ის, ლიტერ № 4-ში სატყეო სამეურნეო ღონისძიებები დაგეგმილი არ არი.

ვ) ტყის ფართობზე არსებული მცენარეთა სახეობების ტაქსაციური მონაცემების შესახებ ინფორმაცია; - ფართობზე ხე მცენარეები და ბუჩქები არ არის.

ზ) ინფორმაცია შერჩეულ ფართობზე საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობის შესახებ; - მოცემულ ფართობზე არ არის წითელი ნუსხით დაცული ხე მცენარეები.

ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაცია წინააღმდეგი არ არის იჯარით გაიცეს აღნიშნული ფართობი საკურორტო, რეკრეაციული, სპორტულ და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი (ამორტიზებული ბილიკის შეკეთება) მიზნით სპეციალური სარგებლობის უფლებით.

პატივისცემით,

ზაზა დიასამიძე

დირექტორი
ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაცია